# საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №ი-539

ქ. თბილისი „26" 10 2009 წ.

**შპს „აზერინშაატსერვისი"-ს საქართველოს წარმომადგენლობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის მე-4 პუნქტის, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „აზერინშაატსერვისი"-ს საქართველოს წარმომადგენლობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ასფალტის წარმოებაზე (მარნეულის მუნიციპალიტეტი, ჯანდარის დასახლების მიმდებარე ტერიტორია);
2. ნებართვის მოქმედების ვადა – უვადო;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს;
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ.№7) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

*საფუძველი:* ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №95; 26.10.09წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურის უფროსის ნიკოლოზ ჭახნაკიას მოხსენებითი ბარათი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო * კანცელარია

გიორგი ხაჩიძე
მინისტრი

*ეგზავნება:* ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახურს, ნებართვის მიმღებ სუბიექტს, გარემოს დაცვის ინსპექციას.